აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა რთული ქცევის და მშობლის ემოციური მდგომარეობის ურთიერთმიმართება

მარიამ ჯანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჯანაშვილი

22.12.2023

აბსტრაქტი

ბოლო დროს , აქტუალური გახდა აუტიზმი და მასთან დაკავშირებული ის გამოწვევები, რომელსაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა მშობლები ხვდებიან აღზრდის პროცესში. აუტიზმთან მიმართებაში, საკმაოდ ბევრი კვლევაა ჩატარებული. ვინაიდან, ბოლო წლებში, იმატა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა შობადობამ, წინამდებარე კვლევა შეისწავლის აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის რთული ქცევის და მშობლის ემოციური მდგომარეობის ურთიერთმიმართებას. აღნიშნული კვლევა განსაზღვრავს, თუ რამდენად ვლინდება რთული ქცევა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში და როგორ გავლენას ახდენს ბავშვის რთული ქცევა მშობლის ემოციურ მდგომარეობაზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 72-მა მშობელმა. მონაწილეთა უმრავლესობა იყო ქალი. მონაწილეებმა ელექტრონულად შეავსეს ორი კითხვარი. კვლევაში გამოყენებული იყო ბეკის დეპრესიის სკალა, აიბერგის ტესტი, რომელიც აფასებს ბავშვის რთული ქცევის სიხშირეს და ასევე, ადგენს, თუ რამდენად პრობლემურად მიაჩნია მშობელს ბავშვის ქცევა.

კვლევის შედეგების გაანალიზებისას დადგინდა მშობლის დეპრესიის დონის მაჩვენებელი, ასევე ბავშვის რთული ქცევის შესაფასებელი კითხვარის გაანალიზებისას, გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებასც მათი მშობლების ხვდებიან ყოველდღიურად. საბოლოოდ, კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად მჭიდრო ურთიერთმიმართება დაადგინა ASD-ს მქონე ბავშვის რთული ქცევის და მშობლის ემოციურ მდგომარეობას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრის აშლილობა, მშობლის ემოციური მდგომარეობა, რთული ქცევა, დეპრესია.

Abstract

In recent years, autism and the related challenges that parents oh children with autism spectrum disorder face in the process of parenting have become relevant. A lot of research has been done on autism. Since, in recent years, the number of children with autism spectrum disorder has increased, the present study examines the relationship between the complex behavior of a child with autism spectrum disorder and the emotional state of the parent. This study determines how manifested difficult behavior in children with autism spectrum disorder and how the child's difficult behavior affects the emotional state of the parent.

72 parents participated in the study. Most of the participants were women. Participants completed two questionnaires electronically. The Beck's depressions inventory was used in the study, which is designed to detect symptoms of depression in the current period. Also the Eyberg test, which assesses the frequency of the child's dificult behavior and also, determines, how problematic is child's behavior for parent.

When analyzing the results of the study, the expression of the level of depression of the parents was determined, Also, when analyzing the questionnaire to assess the difficult behavior of the child, the main problems that their parents face on a daily basis were highlighted. Finally, the results of the study found a significantly close relationship between the complex behavior of the child with ASD and the emotional state of the parent.

Key words: autism spectrum disorder, parental emotional state, difficult behavior, depression.